

მოქალაქეთა
მიღების საათები:
10:00 - 18:00 სთ.
/ 13:00-14:00 სთ - შესვენება /



მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

ტელ: (+995 577) 999 025 / (+995 322) 28 54 79

chaerte@sca.ge
www.sca.ge



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო**

მოქალაქეთა
ჩართულობის
ცენტრი



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობისათვის, მოქმედებს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი, იგი წარმოადგენს ინოვაციურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და ელექტრონულ სივრცეებს. ცენტრის მიზანია, გაიზარდოს უმაღლესი საბჭოს:

გამჭვირვალობა

ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

საჭაროობა



ცენტრის ამოცანები:

- უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღება
- მოქალაქეების ხელშეწყობა უმაღლესი საბჭოსათვის წერილებით, განცხადებებით თუ სხვა დოკუმენტებით მომართვისას
- უმაღლესი საბჭოს შესახებ ცნობიერების ამაღლება
- დაგეგმილი აქტივობების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება
- უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში ექსკურსიების დაგეგმვა და ჩატარება
- უმაღლესი საბჭოს შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება-გავრცელება
- მოქალაქეთა მოსაზრებების, შენიშვნების და რეკომენდაციების მიღება საკანონმდებლო თუ საზედამხებველო საქმიანობისას
- საკანონმდებლო პროცესის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და მათი ჩართვა
- უმაღლესი საბჭოს ონლაინ სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სივრცეა chaerte.sca.ge, სადაც შესაძლებლობა გაქვთ, ჩაერთოთ საბჭოს საქმიანობაში პეტიციის, კომენტარების, საკუთარი მოსაზრებების, კითხვების გაზიარებით, განცხადებების შეტანით, საშვის ან შეხვედრის ჩანიშვნის მოთხოვნით და ა.შ.



ჩართულობის ცენტრი არის სრულად ადაპტირებული სივრცე მოქალაქეებისთვის, სადაც ისინი ზედმეტი ბარიერების გარეშე შეძლებენ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საბჭოზე და იქ მიმდინარე პროცესებზე, ჩართულობის მექანიზმებზე, სერვისებსა და აქტივობებზე.

ჩართულობის ცენტრის სპეციალურად მოწყობილ და სრულად ხელმისაწვდომ სივრცეში მოქალაქეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა:

- გაიარონ კონსულტაცია და მიიღონ დახმარება ცენტრის თანამშრომლებისგან
- ჩანიშნონ შეხვედრა საბჭოს დეპუტატთან ან წარმომადგენელთან, თანამშრომლის დახმარებით
- შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ან საბჭოს სხვა წარმომადგენელ პირებს
- გაეცნონ დეპუტატების მოქალაქეებთან შეხვედრის გრაფიკს
- მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილ ღონისძიებებზე
- შეიტანონ განცხადება ან წერილი ელექტრონულად
- თვალი ადევნონ სხდომების ონლაინ ტრანსლაციას

